

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის  
ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა  
ფაკულტეტი

**ნათელა ბასილაშვილი**

**სოლომონ დოდაშვილის პოლიტიკური  
შეხედულებები და თანამედროვეობა**

სპეციალობა-პოლიტიკური მეცნიერებები

პოლიტიკური მეცნიერების აკადემიური ხარისხის  
მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის

**რ ე ზ ი უ მ ე**

თბილისი 2011

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის  
ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა  
ფაკულტეტი

**ნათელა ბასილაშვილი**

**სოლომონ დოდაშვილის პოლიტიკური  
შეხედულებები და თანამედროვეობა**

სპეციალობა-პოლიტიკური მეცნიერებები

პოლიტიკური მეცნიერების აკადემიური ხარისხის  
მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის

**რ ე ზ ი უ მ ე**

თბილისი 2011

ნაშრომი შესრულებულია გრიგოლ რობაქიძის  
სახელობის უნივერსიტეტში

მეცნიერ-ხელმძღვანელები:

ომარ გოგიაშვილი (საქართველო, თბილისი)

პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი,

პროფესორი

მიხეილ გოგატიშვილი (საქართველო, თბილისი)

ფილოსოფიის დოქტორი, პროფესორი

რეცენზენტები:

ლალი ზაქარაძე (საქართველო, ბათუმი) /თბილისი/

ფილოსოფიის დოქტორი, პროფესორი

დოდო ლაბუნიძე (საქართველო, თბილისი)

ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი

დისერტაციის დაცვა შედგება 2011 წლის „30“ „ივლის“  
„15“ საათზე, გრიგოლ რობაქიძის სახელობის  
უნივერსიტეტში, პოლიტიკურ მეცნიერებათა დარგში  
საატესტაციო-საექსპერტო კომიტეტისა და სადისერ-  
ტაციო საბჭოს სხდომაზე.

მისამართი: 0160, თბილისი, ჯანო ბაგრატიონის 6.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება გრიგოლ რობაქიძის  
სახელობის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში

მისამართი: 0160, თბილისი, ჯანო ბაგრატიონის 6.

დისერტაციის რეზიუმე დაიგზავნა 2011 წლის „14“ „ივნის“

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის

პუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი,

ფილოსოფიის დოქტორი ნ. ბერიძე /ნინო ფიფია/

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალობა. პოლიტიკური თეორიები, ისე  
როგორც ყველაფერი ამქვეყნად, განუწყვეტელი  
იცვლებიან. თვითუღი ისტორიული ეპოქა თავის  
კვალს და თავის დამახასიათებელ ელფერს აძლევს  
მათ. ეს ნათლად არის ნაჩვენები ჰენრი კისინჯერის  
ფუნდამენტალურ გამოკვლევაში “დიპლომატია”,  
სადაც რიშელიეს ეპოქიდან და საფრანგეთის დიდი  
რევოლუციიდან მოყოლებული ჩვენი დღევანდელი  
ეპოქის ჩათვლით დახასიათებულია ის თეორიული  
და იდეური საფუძვლები, რომლებითაც ხელმძღვანე-  
ლობდნენ და დღესაც ხელმძღვანელობენ ამა თუ იმ  
ქვეყნის პოლიტიკოსები.

მიუხედავად პოლიტიკური თეორიების ასეთი  
ხშირი ცვალებადობისა, ერთი რამ უცვლელი რჩება  
მუდამ: ეს არის მოცემული ქვეყნის ეროვნული  
ინტერესები და მასზე დაფუძნებული პოლიტიკური,  
ეკონომიკური და სოციალური ღირებულებანი. ასე  
რომ, ესა თუ ის პიროვნება კი არ განსაზღვრავს  
მოცემული ქვეყნის პოლიტიკას, არამედ ეროვნული  
ინტერესები, მათგან გამომდინარე ღირებულებანი და  
კონკრეტული მიზნები.

მას შემდეგ, რაც საქართველო XVIII-XIX საუკუ-  
ნეთა მიჯნაზე აქტიურად ჩაერთო მაშინდელ  
საერთაშორისო ურთიერთობებში, იგი დიდი  
სახელმწიფოების ინტერესთა სფეროში მოექცა.  
სამხრეთიდან ირანი და თურქეთი, ჩრდილოეთიდან  
რუსეთის სულ უფრო მზარდი იმპერია განაგებდნენ  
მაშინდელი საქართველოს ბედს. ერეკლე II-ის და  
სოლომონ II-ის ცდები უშუალოდ ევროპასთან  
დაემყარებინათ ურთიერთობები, მარცხით დამთა-  
ვრდა. ამიტომ ამ სამი ძალიდან არჩევანი რუსეთზე